აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 84

15 ნოემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

**მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილ
უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატის
რეგისტრაციაში გატარების შესახებ**

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის, 48-ე და 49-ე მუხლების, 64-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებისა და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს პ/გ ,,გიორგი თარგამაძე - ქრისტიან დემოკრატების“ მიერ №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი მაჟორიტარი კანდიდატი - ზაზა შაშიკაძე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე